ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13. 13230584**
თარიღი:**27/02/2023**

,,ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მოწვევის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 03/12/2021 წლის განკარგულებაში:g-13.13213373 ცვლილების შეტანის თაობაზე- ნატო დარბაიძის 2021 წლის მოწვევის ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის მე-40 მუხლის მე-6 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს საარჩევნო კოდექსის 135-ე მუხლის პირველი, მე-4 პუნქტების, ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი'' საქართველოს კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. ცნობილ იქნას **ნატო დარბაიძის** 2021 წლის მოწვევის ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება - **საარჩევნო სუბიექტის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' პარტიული სიით არჩეული** ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლედ. **საფუძვლი** - ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ'' N37-ე ახალციხის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2023 წლის 3 თებერვლის N01/2023 განკარგულება.

2. შევიდეს ცვლილება ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მოწვევის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 03/12/2021წლის განკარგულებაში:g-13.13213373 და განკარგულების 32-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,32. ნატო დარბაიძე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''.

3. განკარგულება ძალაშია 2023 წლის 17 თებერვლიდან.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ.#60ᵇ.)

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი